საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2398
06/04/2023

2398-21-2-202304061248

სს „თბილპოლიმერს“
მის: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ჭირნახულის ქ., №12
ელ.ფოსტა: tbilpolimeri@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი N2360 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სს „თბილპოლიმერის“ პლასტიკის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- საპროექტო ტერიტორია (ს/კ 01.19.14.004.216) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილების მიხედვით, სამრეწველო ზონა 1-ში (ს-1) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები. ვინაიდან, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასება უტარდება იმ საქმიანობას, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე, აღნიშნულ ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელება საჭიროებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებას, მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.14.004.216) ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ სამრეწველო ზონა 1 (ს1)-ის სამრეწველო ზონა 2 (ს-2)-ით ცვლილების შესახებ;

- საქართველოს მთავრობის „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილების მუხლი 11-ის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საწარმო ადგენს ზდგ-ის ნორმების პროექტის ორ ეგზემპლარს, შესაბამისად გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის ორი ნაბეჭდი ეგზემპლარი, თუმცა სააგენტოში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ნაბეჭდი ეგზემპლარი;
- გზშ-ის ანგარიშში გვ. 189-ზე მოცემული სერთიფიკატი წარმოდგენილია მხოლოდ ინგლისურ ენაზე. ვინაიდან საქართველოში ადმინისტრაციული წარმოების ენა არის ქართული, გზშ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია სააგენტოში წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე;
- გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი ჩანაწერი - „დასაქმებული პერსონალის ძირითადი ნაწილი მუშაობს ცვლებში 20 საათიანი გრაფიკით, იმგვარად რომ კვირაში თითოეულ მათგანს არ უწევს 40 საათზე მეტი მუშაობა (ანუ დასაქმებული ადამიანის სამუშაო დღეების რაოდენობა კვირაში 4 დღეს შეადგენს)".
- ანგარიშის მიხედვით მყარი პლასტიკის ნარჩენების გადამუშავებისთვის გამოყენებული იქნება დამქუცმაცებელი, რომლის საპროექტო წარმადობა არ არის მოცემული გზშ-ის ანგარიშში;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, 2023 წლის 14 მარტს სს „თბილპოლიმერის" ტერიტორიაზე ხმაურის დონე გაიზომა 3 წერტილში: ხმაურის ფონური დონის გაზომვა ასევე განხორციელდა უახლოეს საცხოვრებელ სახლთან. გაზომვებმა აჩვენა, რომ ხმაურის დონე 4 წერტილიდან 3 შემთხვევაში აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ დონეს. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ უახლოეს მაცხოვრებელთან ხმაურის არსებული ფონური დონე განპირობებულია საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიებზე განთავსებული სხვადასხვა საწარმოებით. ვინაიდან ხმაურის დონე გაზომვების შესაბამისად უკვე აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმებს, გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იყოს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები ხმაურის გავრცელების პრევენციის მიზნით (მაგ. ხმაურდამცავი ეკრანი, გამწვანების ღონისძიებები და სხვა).

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო